

შპს „სსსო“ 444960188
ქ.ქუთაისი. ავტომშენებლის ქუჩა N 58
minadzenana175@gmail.com. T 574299696

№ 2

30 ნოემბერი 2022 წ

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროს
თამარ ფიცხელაურს

შპს „სსსო“-ს ქვის გადასამუშავებელი
საწარმოს დირექტორი
ნანა მინაძის

სკრინინგ განცხადება



შენიშვნებზე თქვენი ა/წ 24 ნოემბრის №2220 წერილიდან, რომელიც ეხება 2021 წლის 2 აპრილიდან ჩვენს საკუთრებაში გადასულ (სკრინინგის დანართი-8) საწარმოში ქვის განსაზღვრული ჯგუფის სველი წესით გადამამუშავებისათვის არსებული ტექნოლოგიური პროცედურის დროს წარმოქმნილი გამოუყენებელი ნარჩენი ქვის დასამსხვრევი დანადგარის დამატებით განპირობებულ (ამის გამო საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 იანვრის №21 დადგენილების მე-4 მუხლის 4¹ დამატებით მოიხსნა დღის წესრიგიდან) საწარმოს ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის სამინისტროსთან შეთანხმების საკითხზე წარდგენილ სკრინინგ განცხადებას, ობიექტის ტექნოლოგისა და გარემოსდაცვითი კონსულტანტთან ერთობლივად გიპასუხებთ.

ჩვენს მიერ დაიგეგმა ქვის გადამამუშავების ტექნოლოგიური პროცედურების სავარაუდოდ მაქსიმალური-120.0 კუბური მეტრი რეგიონული გრანიტის და ბაზალტის ქვების (ხვედრითი წონა 3,15 გრამ/კუბური სანტიმეტრი) სველი წესით დამამუშავება (დახერხვა-გაპრიალება) საფლავის ზედაპირისა და მიმდებარე ფართის მოსაწყობად. საფლავის, მიმდებარე ფართის და სხვადასხვა ფეხით სავალი ბილიკების დასაფარავად გადამამუშავების გარეშე გაიცემა პროცედურის შემდეგომი საერთო ნარჩენი ნამსხვრევი 30.1 ტონამდე ქვის ნახევარი 15.0 ტონა/წელიწადში. სველი გადამამუშავების იგივე ეტაპზე თითქმის ამდენივე რაოდენობის გამოუსადეგარი ნამსხვრევი უფორმო ნარჩენ ქვაზე დანაკარგისაგან თავის არიდების მიზნით გადაწყდა ნარჩენი ქვის სამსხვრევი დანადგარი მოწყობა 5-დან 40.0 მილიმეტრამდე სამი ფრაქციის (ზომის) ღორღის მისაღებად.

ქვის სამსხვრევი დანადგარის სამონტაჟო პროცედურა დაიწყო 2021 წელს და ტექნოლოგიური პროცედურის ბოლომდე დაუსრულებელ ეტაპზე დაწყებული გვექონდა

სამინისტროსთან შესათანხმებელი ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიშის პროექტის შედგენა და ამ დროს გარემოსდაცვითი სამინისტროს უწყების მიერ მითითების ინსპექტირების აქტის ნაცვლად სამართალდარღვევის ოქმი გაფორმდა.

ჩვენ მიგვაჩნია საწარმო არ ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას. სკრინინგ განცხადება კოდექსის 7-ე მუხლის მე-4 ნაწილის - "საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს;

ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;

ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ“.

საინფორმაციო საჭირო მონაცემებზე ჩვენ დასკვნის მისაღებად სკრინინგით გაცილებით ვრცელი ინფორმაცია მოგაწოდეთ.

მე-7 მუხლის მე-5 ნაწილიდან ფრაგმენტის დასასრული - „სამინისტრო იხილავს საზოგადოების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებსა და შენიშვნებს და, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში, მხედველობაში იღებს მათ სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების პროცესში“-

ახლა დავიწყებთ 24.04.2022წ №21/7170 წერილით მითითებული შენიშვნებზე.

წერილი იწყება, რომ სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა - „სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია“- უთვალავი სახეობის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს საქმიანობა უნდა დასახელდეს.

განგიმარტავთ: სკრინინგ განცხადებაში და ადრე შესრულებულ ინვენტარიზაციის ტექნიკურ ანგარიშებში საწარმოებს ერქვა „ქვის დასამუშავებელი საამქრო“ ან „ქვის დასამუშავებელი საწარმო“ და სასაფლაოსთან დაკავშირებული საქმიანობა, პროცედურა და ტექნოლოგია ტექსტში ყველგანაა აღწერილი.

გადვდივართ წერილობითი შენიშვნების თანმიმდევრობითი რიგით განხილვაზე:

1. --შენიშვნაში ნათქვამი- საწარმოში ხორციელდება „ქვის დახერხვა და ნედლეულის მსხვრევა სამსხვრევ დანადგარზე“- არასწორია, არ შეესაბამება საქმიანობას;

--უნდა იყოს -ხორციელდება „ქვის სველი წესით გადამამუშავება და გამოუსადეგარი ნამსხვრევი ნარჩენი ქვის სამსხვრევ დანადგარში გატარება სამი ფრაქციის ღორღის მისაღებად;

-- სამი სხვადასხვა დიამეტრის მრგვალი ხერხით მომუშავე სახერხი დანადგარიდან მიღებული დაფების და სხვადასხვა ფორმის დეტალების საპრიალებელი დანადგარის შესახებ ცნობილია. გ ქვის სველი წესით გადამამუშავებისა (ამ პროცედურის გაფრქვევის შესწავლის მოხსნის) და ნარჩენი ქვების მსხვრევის დროს მტვერის გაფრქვევების შესახებ;

--7-ე მუხლის 6-ე ნაწილის ჩამონათვალი არ არის მეწარმეზე დავალება

შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე ინფორმირების შესახებ.

საქმიანობის მახასიათებლები, და ა.შ. ჩამონათვალი ექსპერტიზის მიერ უწყებისათვის გზშ-ს საჭიროებისათვის განსასაზღვრავი კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების შესაფასებელი საკითხებია და ექსპერტიზა იხილავს -ექვემდებარება

თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს“:

2. -- საქმიანობის განხორციელების ადგილზე ქვის დამამუშავებელი საამქროს მშენებლობის პროექტი საპროექტო-სამშენებლო კომპანის მიერ გაცემულია და არსებითი მახასიათებლების შესახებ პროექტიდან მოცემულია დანართებში 7.1 დან 7.6 -ში;

3. --საწარმოო დანიშნულებით ქვის სველი ხერხვის და გაპრიალების მცირე სიმძლავრის გამო სპეციალურ რეზერვუარში თავსდება ავტოცისტერნით შემოტანილი წყალი. ნახმარი წყლები სადენით ხვდება და თანმიმდევრობით გაივლის 3 (40,62 მ/კვადრატ ფართის) სალექარში. დალექვის შემდეგ დაგროვილი ნახმარი წყალიც გადმოაქვთ იგივე რეზერვუარში.

საწარმოს ტერიტორიაზე არსებობს ჯერჯერობით სამრეწველო გამოყენებისათვის დაურეგისტრირებელი შახტური ჭაბურღილი და აღდგენილი იქნება ქლაქის წყალსადენთან შემაერთებელი საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ქსელი. ორივე ქსელი აღდგენილი იქნება და მათგან ერთი სამეურნეო დანიშნულებით, მეორე (ჭაბურღილი) სამრეწველო;

4. --ნარჩენები და მართვის საკითხი განმარტებულია მე-6 თავში;

5.-- დანართი 4-ით წარმოდგენილი საწარმოს გადმოღებული გენგეგმა 2007 წელს შედგენილი და დადასტურებულია. გენგეგმის არსებით პირველადი პროექტი მკაფიოდ შენარჩუნებულია და დადასტურებული გარჩევადობით. სუსტი შენიშვნებია ფოტო -მასალაში. პროექტში სრულყოფილად მოცემულია ტექსტობრივი განმარტებები;

6. -- სკრინინგის 1-ლ თავში განმარტებულია, რომ საწარმოს ხუთას მეტრიან რადიუსში საცხოვრებელი სახლი არ მდებარეობს და 200.0 მეტრიან დაშორებაზე მდებარეობს მხოლოდ მცირე სიმძლავრის ავტოპროფილაქტიკა;

7. --ნახმარი სამრეწველო დანიშნულების წყლები ღია არხით შეერთებულია სამ (თითოეული 13,54 ფართის) სალექართან. მესამე სალექარიდან სამრეწველო დანიშნულების წყლის რეზერვუარში გადაიტუმბება. გამოიყენება ტერიტორიის სარწყავად და დასასუფთავებლად;

8. --ნარჩენი ქვის სამსხვრევი დანადგარის ფუნქციონირება საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან თავსებადია. განმარტებულია და მოცემულია სწარმოს გენგეგმის დანართ 4-ში,

სპეციფიკაციის განმარტება დანართ 5-ში, გეოლოგიური პირობების დასკვნები დანართ 6-ში;

9. -- სკრინინგის განცხადება წარდგენილი იქნება ელექტრონულად (PDFფაილის ფორმატში).

სკრინინგ განცხადებაში შეტანილია უმნიშვნელო შინაარსობრივი და


ტექსტობრივი
ცვლილებები და წარდგენილია განმეორებით დანართის სახით.

დანართი: ქვის გადასამუშავებელი საწარმოს შესახებ სკრინინგ განცხადება 25
გვედზე.

დირექტორი  /ნ. მინაძე/

ინჟინერ-ტექნოლოგი  /ა. ცაგარეიშვილი/

გარემოს დაცვის
კონსულტანტი

 გ. უბირია